ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

29-30 (10017 • 22 ivlisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საკრებულოს სხდომა ხმაურით დასრულდა

გაზეთი „ალიონი“

საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარისთვის 17 ივლისს გამართული სხდომა პირველი იყო თავმჯდომარის რანგში. წესისამებრ საკრებულომ განსახილველი საკითხები ჯერ ბიუროს სხდომაზე განიხილა, შემდეგ კი ცალკეულ საკითხებზე დარბაზის წევრებთან ერთად იმსჯელეს.

თავდაპირველად ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქუჩის ერთი მონაკვეთისთვის ცნობილი კომპოზიტორის, იოსებ კეჭაყმაძის და სოფ. ბოხვაურში ავღანეთში დაღუპული მებრძოლის გია გოგუაძის სახელების მინიჭების საკითხი განიხილეს.

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებები შეიტანეს. 7 511 780 ლარი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის სამუშაოების, კერძოდ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მერია-ლაითურის შემაერთებელ გზაზე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად.

დეპუტატმა მერაბ მჟავიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ წარმოადგინა საკითხი. კომისიის თავმჯდომარედ ავთანდილ სურგულაძე დაამტკიცეს.

დეპუტატი ლელა ნაცვალაძე სხდომის დასაწყისშივე ითხოვდა სიტყვას, მაგრამ მას რეგლამენტი შეახსენეს და მას გამოსვლა სხდომის ბოლოს შესთავაზეს. აღნიშნული საკითხის განხილვისას ლელა ნაცვალაძემ განაცხადა:–ბევრ საჯარო მოხელს აქვს გამოცდილება ფულის გათეთრების. გამოიყენეთ ეს „გამოცდილება.“

„ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ლევან ნინიძემ საკრებულოს, ატესტაციისას გასაუბრების წესი შესთავაზა, მაგრამ აუხსნეს, რომ დებულება ტესტირებასაც ითვალისწინებს...

მომდევნო საკითხად სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების თაობაზე საჯარო-ადმინისტრაციული განხილვა დაიწყო. (ეს პროექტი გაზეთ „ალიონის“ დღევანდელ ნომერში V-VII გვერდებზეა წარმოდგენილი).

საკითხი კარგად წარმოადგინა ა (ა) იპ ოზურგეთის სერვისცენტრის ხელმძღვანელმა ვლადიმერ სალუქვაძემ. მან აღნიშნა, რომ მოიდანახეზე 20 ადგილია დარჩენილი და სასურველია აღნიშნული სასაფლაო დაკონსერვდეს. იყო საუბარი პანთეონზე და საგვარეულო სასაფლაოებზე.

ლელა ნაცვალაძის მიერ ამ თემაზე დასმულ შეკითხვას საკმაოდ იუმორით და სარკაზმით უპასუხა დეპუტატმა მერაბ მჟავიამ.

სხვა საკითხებთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ–საკითხი განიხილეს. (საკრებულოს განკარგულება გამოქვეყნებულია გაზეთ „ალიონის“ რევანდელ ნომერში.)

ა (ა) იპ ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსმა მაკა ჭყონიამ ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინა ანგარიში.

მუნიციპალიტეტის 38 საბავშვო ბაღში 1800 აღსაზრდელია. მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ ბაღეში სწავლის ქირა გააუქმა, კონტიგენტი მოიმატებს. ამ დროს საბავშვო ბაღები არ აქვთ სოფ. ჯუმათში, მერიაში, ვაკიჯვარში. სავარაუდოდ ამ სოფლებში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობების მომზადება.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებებისათვის გამოყოფილი 60 მილიონი ლარიდან ქ. ოზურგეთის № 1, 7, 9 საბავშვო ბაღების კაპიტალურ რემონტზე 1 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი, როს შემდეგაც შესაძლებელია ამ ბაღებში დამატებითი ჯგუფები გაიხსნას...

იყო საუბარი კვების პროდუქტების დისტრიბუციაზე, სახანძრო უსაფრთხოების წესებზე, სოფ. მთისპირში ამორტიზებულ საბავშვო ბაღის შენობაზე და ა.შ.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ საბავშვო ბაღებში წინა ხელისუფლების მიერ საარჩევნოდ შტატების ხელოვნურად ზრდაზე დასვა კითხვა.

–ნამდვილად ზედმეტი თანამშრომლებია საბავშვო ბაღებში –დაადასტურა დეპუტატის ნათქვამი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე კონსტანტინე სარიშვილმა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დასრულების შესახებ გააკეთა ინფორმაცია. მისი თქმით, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების შედეგად 3 000 ბენეფიციარმა ვერ მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათი.

კოტე სარიშვილმა მოლიან-ჩალიანში და სხვა ფართობებში სიმინდის მავნებელის ხვატარის შესახებ ისაუბრა და ბიოლოგიური პრეპარატით შეწამვლა ურჩია სიმინდის ფართობების მფლობელებს..

კოტე სარიშვილის გამოსვლისას სახდომაზე დამსწრე ნუგზარ გიორგაძემ დასვა კითხვა: –თუ რატომ შესრულდა ხვნა-თესვის დროს მხოლოდ ორი ოპერაცია და ვის მოხმარდა გლეხებიდან დამატებით ყოველ 1000 კვ. მ სახნავზე აკრეფილი 12-12 ლარი...

–დღეს თქვენ ხართ, ხვალ ჩვენ ვიქნებით.! –თქვა

▶▶▶ გვ-2

ნაცვალაძე უშიშროების უფროსის პოსტზე საჯაიას შესაძლო დანიშვნას აპროტესტებს

ნუგზარ ოთარიშვილი

17 ივლისს, ხმაურიანი საკრებულოს სხდომის შემდეგ მუნიციპალიტეტის შენობის წინ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ ბრიფინგი გამართა.

–აქ 20 დღეზე მეტია ის ადამიანები დგანან, რომლებიც ვერ ეგუებიან უსამართლო პროცესებს. ამ ადამიანებიდან არ ყოფილა არც ერთი არაკანონიერი, არაკონსტიტუციური ქმედება. იყო პროვოკაციაში ჩათრევის მცდელობები, მაგრამ ამ ადამიანების ღირსებითა და მოთმინებით–ვერ განახორციელეს. ეს შეხვედრა ჟურნალისტებისათვის სამოქმედო გეგმის გაცნობისთვისაა, თუ რას ვაპირებთ, რა გააკეთა ამ „სეფამ,“ რა შედეგზე გავედით –ასე დაიწყო შეხვედრა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ.

–ოცდღიანი აქციის შემდეგ დავინახეთ, რომ დაიწყო სამართლიანობის აღდგენა ოზურგეთში. მინდა აქციის მონაწილეების და ოზურგეთლების სახელით მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მათ ყურად იღეს ის პრობლემები, რაც ხდება ოზურგეთში. შესრულდა ერთ-ერთი მოთხოვნა და ასე მაქვს ინფორმაცია, კონსტიტუციური უსაფრხოების სამსახურის უფროსი ოზურგეთში თანამდებობას ჩამოაშორეს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში.

ამჟამად იერარქიით სიხარულიძის ადგილზე მოვალეობის შემსრულებლად ვანო საჯაია დაინიშნა. იმედია, ის არ დარჩება ამ პოსტზე, ეს არ არის ჩვენი კაპრიზი, უსასამართლო მოთხოვნა, ეს არის ოზურგეთლების მოთხოვნა, რომ ვანო საჯაია, მთელი ცხრა წლის განმავლობაში ოპოზიციურ ძალებს ძალიან ცუდად ახსოვს. ის იყო ერთ-ერთი ზონდერწარმომადგენელი, რომელიც ილაშქრებდა სამართლიანი სიტყვის აქტიური ადამიანების წინაშე, რომელთაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

მივმართავთ შსს მინისტრს, ამ თანამდებობაზე დაინიშნოს ღირსეული ადამიანი, რომელიც იქნება არა კონკრეტული პარტიების უშიშროების წარმომადგენელი, არამედ მთელი ოზურგეთის უშიშროების უფროსი.

აქცია გაგრძელდება. პოლიციამ და პროკურატურამ დაიწყო მოკვლევები მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. ნაცვალაძემ საგამომძიებლო პროცესების დაჩქარება მოითხოვა.

ძლიერი წყალდიდობა ურეკში

გასული კვირის მეორე ნახევარში მოსულმა ძლიერმა ნალექმა თავისი შედეგი გამოიღო. დაიტბორა დაბა ურეკის რამდენიმე ქუჩა. იმის გამო, რომ არხებმა ვერ გაატარა მოვარდნილი ნიაღვარი, წყალი შევარდა სასტუმროების, კერძო სახლების პირველ სართულზე. როგორც მოსახლეობას, ისე სასტუმროების და სხვა ობიექტების მეპატრონეებს მიადგათ მატერიალური ზარალი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის თქმით, მათ მიერ მობილიზებული იყო ადამიანური რესურსი და ტექნიკა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

გაზეთ „ალიონთან“ საუბარში საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძლიერი წვიმებისას სტიქიის შეტევები იმის შედეგიცაა, რომ, როგორც დასასვენებელი სახლების, სავაჭრო ობიექტების, ისე ადგილობრივი მცხოვრებლები მშენებლობისას არ იცავენ პროექტის მოთხოვნებს, არხების წყალგამტარიანობა შემცირებულია, რაც იწვევს ასეთ შედეგებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

22 ივლისი, ორშაბათი	23 ივლისი, სამშაბათი	24 ივლისი, ოთხშაბათი	25 ივლისი, ხუთშაბათი	26 ივლისი, პარასკევი	27 ივლისი, შაბათი	28 ივლისი, კვირა
მზე, ღრუბელი +19+26	წვიმა +18+24	მზე, ღრუბელი +17+26	ხანმოკლე წვიმა +17+26	მზე, ღრუბელი +17+26	მზე, ღრუბელი +15+23	მზე, ღრუბელი +18+25

საკრებულოს სხდომა ხმაურით დასრულდა

ნუგზარ გიორგაძემ, რასაც კომისიის თავმჯდომარე ვალია გირკელიძის საპასუხო რეპლიკები მოჰყვა.

–ვალია, 25 წელია აქ ხარ, თქვენი დროც დადგება –თავი ვერ შეიკავა ნუგზარ გიორგაძემ.

დარბაზში პოლიცია შემოვიდა, ინციდენტი აღარ გაგრძელებულა.

მონარიდები დეპუტატების მწვავე გამოსვლებიდან:

ალეკო ტულუში:– რატომ ამოიღეს წელს პრიორიტეტებში მერია-კონჭკათის გზის რემონტი?

ლევან ნინიძე:–უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა და წარუდგეს ხელისუფლებას. ასკანაში 300 ჰექტარი ჩაის ადგილას 300 ჰექტარი გვიმრაა.

ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, რა უნდა გააკეთოს ხალხმა. უნდა მოვიწვიოთ სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელმაც პასუხი უნდა გაგვცეს ამ კითხვებზე...

სოფ. ასკანაში 22 ოჯახი ითხოვს დახმარებას. მათგან ერთს, ნაცვალაძეს საერთოდ არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი და „კუხნაში“ ცხოვრობს. რით დავეხმარებით მათ?

დიმიტრი კვერღელიძე:–ძვირფასო კოლეგებო ფრაქცია „ერთობიდან“, ძალიან ნუ გამოიჩენთ აქტიურობას, თითქოს თქვენ ხართ ოცნების მხარდამჭერები...

მე საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისას არ ვარ ნაწყენი იმ დეპუტატებზე, რომლებმაც სავჯაროდ დამიფიქსირეს თავიანთი პოზიცია „თქვენ ვერ დაგიჭერთ მხარსო“–ესენი იყვნენ პაატა კილურაძე და დავით დოლიძე. მათ გულწრფელობისთვის მადლობა უნდა გადავუხადო. დანარჩენ კოლეგებს, ჰქონდათ ძალიან დიდი ზეწოლები, რომ მათ თავიანთი პოზიცია ბოლო წუთებში შეეცვალათ...

თქვენი ვალდებულებაა, ყველა იმ კითხვებს, რომლებიც საზოგადოებაშია, პასუხები გაეცეს. რაც შეეხება ფინანსურ პრეტენზიებს, რაც აქვს საზოგადოებას, ფინანსური ადრესატი ვალდებულია დაამტკიცოს რომ მართალია.

რაც შეეხება 450 ათასი ლარის გამოყოფას, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, სტიქიით დაზარალებულ ადამიანებზე, ძალიან კარგია, რომ სახლები იხურება, მაგრამ ხომ არაა გაბერილი სტიქიით დაზარალებული ადამიანების რიცხვი? ნუ ავურევთ სტიქიით დაზარალებულებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს ერთმანეთში..თუ ვეხმარებით, მაშინ ყველას დავეხმაროთ...

ერთი, რაც შეიძლება „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩავუთვალოთ დადებითად, გადასახადების ადმინისტრირება მოხდა მაღალ დონეზე და დღესაც ადმინისტრირების ნაწილში ნულის ტოლია კორუფცია, მაგრამ ხარჯვით ნაწილში კორუფცია არ არის ნულის ტოლი. ამიტომ არ მომწონს, როცა მაღალი თანამდებობის პირებთან ბიზნესწარმომადგენლები დადიან, როგორც სამსახურებში, ისე ოჯახებში, იმიტომ რომ ჩვენი მთავრობის პოზიციაა –ყველა საჯარო მოხელეს ხელები შორს ბიზნესისაგან, ბიზნესწარმომადგენლებსაც ვურჩევთ–დაანებონ საჯარო მოხელეებთან ალიანსს თავი... თუ არის ეჭვები, იგი უნდა გავფანტოთ. პეტიცია იმიტომ გავუგზავნეთ შესაბამის სტრუქტურებს, რომ იმ ეჭვებზე, რომლებიც გვაწუხებს, საზოგადოებას პასუხი გაეცეს...

მე მადლობელი ვარ ბატონი ავთოს, რომელიც პიროვნულად გამოხატავს კეთილგანწყობას ჩემს მიმართ, მაგრამ მისი თანამდებობა არის პოლიტიკური თანამდებობა და არ ვიქნები სწორი, ამას შეფასება არ მივცე, როგორც კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა. მე არ მახსოვს მისი პრეტენზიები ბატონი ალეკოს (მამეშვილი) მიმართ და ან მისი ხედვა, როგორ მიაჩნია, საკრებულო როგორი გზით უნდა წავიდეს...

ბიძინა ივანიშვილის მთავრობა დაამთავრებს ნავიდან ნავში ხტომას...ძალადობის დრო დამთავრდა, ეს თქვენ ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებისას დაგანახვათ

დავივიწყოთ პატარკაცობა, დავდგეთ ხალხის გვერდით და ვემსახუროთ მათ. ეს არის ჩვენი მოვალეობა...

ლელა ნაცვალაძე:– 20 დღეზე მეტია, მუნიციპალიტეტის წინ „სეფაა“ გადაჭიმული. თქვენ კი არ ხართ პირდაპირი მიზეზი, ეს ყველაფერი რვა თვის განმავლობაში მოხდა, მაგრამ თქვენ საპროტესტო აქციის მონაწილეებთან უნდა მისულიყავით.

ფრაქცია „ერთობის“ განცხადებასთან დაკავშირებით: ვინ ლაპარაკობს მორალზე, პიროვნულ ღირსებებზე და ავტორიტეტებზე? როგორ შეიძლება მორალზე გველაპარაკოს იმ ადამიანებმა, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში კორუფციის ბუდედ აქცია ოზურგეთი. ის მეთოდები რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ თქვენზე განახორციელა, ამის გამოყენება მოხდა არჩევნებზე. ვიცით, როგორი ზეწოლა მოხდა თითოეულ თქვენგანზე.

ვინ არის „ერთობა?“ჩაიხედეთ თქვენს წარსულში. თქვენ გაემიჯნეთ ხალხის რჩეულს ზვიად კვაჭანტირაძეს და იმის საწინააღმდეგო ქმედება განახორციელეთ. ჩვენ არ გვინდა „ჯიბის საკრებულო“ იყოთ.

ღია წერილი
ბატონებს ავთანდილ სურგულაძეს და კონსტანტინე შარაშენიძეს
გაკვირვებაც გააკვირვეთ!

ალბათ, გაგაკვირვათ ამ საგაზეთო წერილმა, რომელსაც, თავად მე, გაკვირვებული ვწერ.

მკითხველიც რომ გაკვირვებიდან გამოვიყვანო, ამდენი გაკვირვების გაკვირვებას ახლავე ავხსნი.

გრიბოედოვის ქუჩის №29 ბინის მცხოვრებნი როგორ ეზოში ვცხოვრობთ,წინა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა და თქვენც მშვენივრად იცით. თუმცა ადრინდელთა სიკეთესაც ვერ დავივიწყებ –სახლი გადაგვიხურეს, მაგრამ ეზოს კეთილმოწყობა ბევრჯერ გადადეს სამერმისოდ!

ჰოდა, მოხდა ისე, რომ ეს მოუწესრიგებელი საქმეც (ისე, როგორც სხვა მრავალი) „ანდერძის შესასრულებლად“თქვენ გადმოგეცათ (ბატონო ავთანდილ,ბოდიშს გიხდით,თქვენ ამ საქმეში,თქვენი ახლანდელობის გამო, არ ხართ ჩართული).

თხოვნა-ვედრება ისევ გავაგრძელეთ. ერთი საჯარო მოხელე გურიის ტელევიზიის გადაცემისას დაგვპირდა, რომ ჩვენს მტკივნეულ თხოვნას წელს „უმკურნალებდნენ“ (თუმცა, წელი არ დამთავრებულა).

ამასწინათ მეზობლებმა ისევ მთხოვეს განცხადების დაწერა, ოღონდ, დეპუტატ, ზვიად კვაჭანტირაძის სახელზე.

შედეგი? –არავითარი ოფიციალური, მხოლოდ სიტყვიერი პასუხი, რომ წერილი რეაგირებისათვის გადმოგეგზავნათ,როგორც რაიონის ხელმძღვანელთ!

მას შემდეგ თვეები გავიდა...

19 ივლისს, გვიან ღამით, მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ჩვენი კორპუსის მცხოვრებ ახალგაზრდას ეს. ინტერნეტით მოსურვებია საუბარი ოზურგეთელთა რჩეულთან და...

... არც ბატონ ზვიადს დაუყოვნებია პასუხი (რომელიც გამორჩეულად იბეჭდება).

„ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲠᲙᲐᲖᲛᲘ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲡᲕᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ ᲛᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲔᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲗᲔᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲠᲐᲢᲝᲛᲚᲐᲪ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲒᲐᲛᲝᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲐᲗ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲯᲔᲠ „ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲐ„ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ... „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ„ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲘᲐᲠᲘᲗ. ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲑᲝᲚᲝᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ... ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲐ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲕᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲬᲕᲘᲛᲔᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲕᲔᲓᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲐᲓ. ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲬᲛᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ.“

როგორც ხედავთ, პასუხში ჩემი პიროვნებაა გამოკვეთილი. რატომ? –ამან ძალიან გამაკვირვა, ან როგორ უნდა აიხსნას სიტყვები –„თავგამოდებით იცავს?!“

არ ვიცი,ვისგან რა ესმის ნადიპლომატარ დეპუტატს, მაგრამ, მგონია, რომ ჩვენ ერთმანეთთან კი გვაქვს ისეთი ურთიერთობა, საქმეში, „ტექნიკა“ არ დაეხმარებინა და პირისპირ გვესაუბრა.

რაც შეეხება დაცვას! –ალბათ, გარდაცვლილი ჟურნალისტებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თქმული ჩემი სიტყვა გახდა ასე „ფართოდ“ აღმთქმელი.

მაინც რა ვთქვი?

სამწუხაროდ, ბატონო კონსტანტინე, თქვენ ღონისძიებას არ დასწრებიხართ. თქვენ, ბატონო ავთანდილ, ესწრებოდით, რისთვისაც სავჯაროდ გიხდით მადლობას!

დიახ,ღონისძიებაზე მადლობა გადავუხადე კონსტანტინე შარაშენიძეს! რატომ?

რამდენიმე წელია ამ ღონისძიების ჩატარებისთვის დახმარებას ვითხოვდი, მაგრამ ... რამდენიმე პიროვნებამ ხელი შეგნებულად შემიშალა, ხელმძღვანელებმა კი, დაპირება არ შეასრულეს!

სათავეში მოსულმა ოცნების წარმომადგენელმა, ჩემი ტკივილი გაიაზრა და ... ღონისძიება ჩატარდა! –ამისთვის მადლობის თქმა, „თავგამოდებით დაცვა?!“

ბატონო ავთანდილ, ბატონო კონსტანტინე!

კითხულობთ ამ წერილს და,ალბათ ფიქრობთ, ადრესატი შემეშალა!

არა!–თქვენ შეგნებულად გწერთ! რადგან ბატონმა დეპუტატმა ჩემი პიროვნება ასე გამოკვეთა, ამით ვისარგებლებ და ჩვენი ბინის მცხოვრებთა სათხოვარს,პირადად,ჩემი პიროვნების „გამოკვეთით“ შეგავედრებთ.

გაითვალისწინეთ,რომ საკმაო ასაკის ვარ (12 ოქტომბერს 74 წლის გავხდები). მაქვს მაღალი წნევა (დაბალი –პენსია) და შაქარი. ასე,რომ ასაკიც და ჯანმრთელობაც სიკვდილს მახლოებს (მადლობა უფალს, ყველაფრისთვის).

ჩემს გასვენებაში ხომ უნდა მობრძანდეთ? –ამიტომ,ორმოში რომ არ ჩავარდეთ,ფეხები წყალმა რომ არ დაგისველოთ, მტვერი რომ არ შემოგეყროთ.... მოგვიწესრიგეთ ეს გზა; ხალხის კმაყოფილება ხომ იმძლავრებს და იმძლავრებს, თავისებურად ბატონ ზვიადსაც დამშვიდებთ და „ბევრის ფიქრისგან“ გაათავისუფლებთ!

თქვენც ხომ გათავისუფლდით გაკვირვებისგან?!

ახლა, ჩვენი ეზოს კეთილმოწყობით, ჩვენ გაგვაკვირვეთ!

ხო, გაკვირვებაც გააკვირვეთ!

შენდობის თხოვნით

ᲔᲗᲔᲠ ᲥᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

წერილი, რომელიც ადრესატს დაეძებს

მრავალი წელია წყლის პრობლემა გვაქვს ექადიელებს. ყველა დროის ხელისუფლებას მივმართავდით თხოვნით ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ამაოდ. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაზე ფაციფუცი ატყდა. გავიგეთ წყალი გამოჰყავთო და სიხარულით ცას ვეწიეთ. მუშაობა 3-4 თვეში უნდა დასრულებულიყო (ტემპს ნამდვილად არ უჩიოდა და წინა ხელისუფლება). საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ეჭვი გაჩნდა (არც თუ უსაფუძვლო), რომ სამუშაო ისე არ მიმდინარეობდა,როგორც საჭირო იყო. ავტეხეთ განგაში მოვიწვიეთ პრესა, ტელევიზია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ბუნდოვან, მაგრამ მუქარაშეპარებულ პასუხებს გვცემდნენ. მერე სამუშაობი შეჩერდა. დაგვრჩა გადათხრილი ქუჩა, არხი, რომელიც წყლით იყო სავსე და რომელშიც ხან მოხუცები, ხან ბავშვები და ხან ცხოველები ცვივოდნენ.

არ ვიცით ვის აუჩუყდა გული ჩვენს გაუსაძლის ყოფაზე(თუ არჩევნების მოახლოების ბრალი იყო) მუშაობა ისევ განახლდა. გავიგეთ, რომ გადასახადს მრიცხველების მიხედვით გადავიხდიდით. დავიწყეთ საჭირო წყალგაყვანილობის მასალების შეძენა, რათა წყალი მოხმარების ადგილამდე მიგვეყვანა, ამასობაში გამრიცხველიანებაც მოხდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ გადასახადი არა მრიცხველის, არამედ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით უნდა გადავიხადოთ და გადახდის ათვლის სათავე იქედან იწყება,საიდანაც, სისტემა ექსპლუატაციაში შევიდა??? (რას ნიშნავს ექსპლოატაციაში შესვლა, როცა არხები ალაგ-ალაგ ამოუვსებელია და დახეთქილი მილებიდან წყალი იღვრება). თან არ აქვს მნიშვნელობა ამ წყალს ვსარგებლობდით თუ არა. როცა პროტესტი გამოვთქვით, დაგვმიძღვრეს: –უმჯობესია ახლა გადაიხადოთ ისე, როგორც გთავაზობთ, თორემ შემდეგ აბონენტებად დარეგისტრირება 500 ლარი დაგიჯდებათო. გადასახადებს არ გავურბივართ, გაზისა და ელექტროენერგიის საფასურს მრიცხველის მიხედვით ვიხდით, მაგრამ გაურკვეველი წარმომავლობის გადასახადების გადამხდელები არ ვართ და ნურც ნურავინ დაგვავალდებულებს,მით უმეტეს არავის ამის შესახებ არ გავუფრთხილებივართ. ექადიელებს რომ გვცოდნოდა, თუ რა მძიმე ტვირთად დაგვაწვებოდა ეს ბეგარა არც ერთ ხელისუფლებას წყლის პრობლების მოგვარებას არ სთხოვდა. ამასთანავე უამრავი კითხვა გვაქვს:- სასმელად ვარგისია თუ არა ეს წყალი, რადგან წვიმიან ამინდში ამღვრეულია, (არსებობს თუ არა შესაბამისი სერთიფიკატი), რატომ უნდა გადავიხადოთ სხვა ტარიფით გადასახადი, თუ მრიცხველები უკვე დადგმულია, რატომ უნდა გახდეს აბონენტად დარეგისტრირება 500 ლარი, მართლა 100 ლარი ღირს თუ არა მრიცხველი, თუ მართლა ექსპლოატაციაში შევიდა სისტემა,ალაგ-ალაგ არხი ღია რატომაა და წყალი რატომ მოედინება?. . .

P.S თუ ქართულ მითოლოგიას გადავხედავთ ვნახავთ, რომ ბევრ დევს და გველეშაპს სოფლისთვის წყალი გადაუკეტია და სანაცვლოდ მძიმე ხარკი მოუთხოვია, 9-9 თავი ჰქონდათ ორივეს მაგრამ, საბედნიეროდ, არც ერთი არ შერჩენიათ. რაიმეს არ მიგანიშნებთ ეს ამბავი?

წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეობის სახელით

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲥᲐᲓᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ

„მე ბოშა ვარ"

ᲛᲐᲠᲘᲐ ᲙᲝᲥᲝᲔᲕᲘ

21 ივლისს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ორგანიზებით და ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ახალგაზრდა მომხმარებელთა ინიციატივით,გაიმართა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განხილვა თემაზე: „ეთნიკური უმცირესობები“.

ფილმი სახელწოდებით „მე ბოშა ვარ" მოამზადა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ბაზაზე არსებულმა ლიდერთა სკოლამ და ახალგაზრდულმა ცენტრმა.

ჩვენების შემდეგ გაიმართა ფილმში წარმოჩენილი პრობლემების განხილვა. განიხილეს პრობლემების გადაჭრის გზები.

ორგანიზატორების აზრით, დისკუსია ხელს შეუწყობს, როგორც აღნიშნული პრობლემებით ახალგაზრდების დაინტერესებას, ასევე მოქმედი ორგანიზაციების ცნობადობის ამაღლებას ადგილობრივ თემში. აგრეთვე მოხდება მათ მიერ გაწეული საქმიანობების წარმოჩენა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ორგანიზატორების თქმით, უახლოეს დღეებში დაგეგმილია ფილმების ჩვენება თემებზე: მარტოხელა მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან კომუნიკაციის პრობლემა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის);

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება („საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია, გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

№	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბნის მისამართი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება	შენიშვნ
1	№60/01 ზვანი-1	ქ. ოზურგეთი	– კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი (სემინარიის წინ)	
2	№60/02 ზვანი-2	ქ. ოზურგეთი	– სპორტის სასახლე - გარე განათების ბოძები – რაგბის სტადიონთან არსებული შენობა	
3	№60/03 რკინაბეტონი	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის (ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე) ღობე – ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები	
4	№60/04 მოიდანეხე-1	ქ. ოზურგეთი	– კულტურისა და დასვენების ბაღის ღობე - გარე განათების ბოძები – ერისთავის ქუჩაზე მდებარე კედელი	
5	№60/05 მოიდანეხე-2	ქ. ოზურგეთი	– გარე განათების ბოძები	
6	№60/06 ცენტრი-1	ქ. ოზურგეთი	- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღის (გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე) ღობე	
7	№60/07 ცენტრი-2	ქ. ოზურგეთი	– სტადიონის ღობე (რუსთაველის და ფარნავაზ მეფის ქუჩები) - გარე განათების ბოძები – ყოფილი სარძეგეს შენობა	
8	№60/08 სერი	ქ. ოზურგეთი	– №2 საბავშვო ბაღის ღობე – გარე განათების ბოძები	
9	№60/09 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	– აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები	
10	№60/10 ექვდია	ქ. ოზურგეთი	– თაყაიშვილის ქუჩაზე გარე განათების ბოძები	
11	№60/11 ლაითური-1	დაბა ლაითური	– ბავშვთა ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელი – მინი მოედნების ღობე	
12	№60/12 ლაითური-2	დაბა ლაითური	– სარიტუალო სახლი – ბავშვთა ბაღის ღობე – მგზავრთა მოსაცდელი	
13	№60/13 ნარუჯა-1	დაბა ნარუჯა	- ყოფილი კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული	
14	№60/14 ურეკი	დაბა ურეკი	– კულტურის სახლი – გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორია	
15	№60/15 წყერმადალა	დაბა ურეკი	– გარე განათების ბოძები – მინი მოედანის ღობე	
16	№60/16 ნასაკირალი	დაბა ნასაკირალი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი	
17	№60/17 ასკანა	ასკანის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – ბავშვთა ბაღის ღობე	
18	№60/18 მზიანი	ასკანის თემი	– კლუბის შენობა – საბავშვო ბაღი	
19	№60/19 ბაილეთი	ბაილეთის თემი	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელები 7 (შვიდი) ერთეული – მინი სტადიონები – გარე განათების ბოძები	
20	№60/20 ბახვი	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი	
21	№60/21 ქვედა ბახვი	ბახვის თემი	– სკვერის ღობე ცენტრში – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
22	№60/22 მშვიდობაური	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი	
23	№60/23 ბოხვაური	ბოხვაურის თემი	– ყოფილი კლუბის შენობა – გარე განათების ბოძები	
24	№60/24 გურიანთა	გურიანთის თემი	– ამბულატორიის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – მინი სტადიონის ღობე – გარე განათების ბოძები	
25	№60/25 დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი სოფ. დვაბზუს ცენტრში – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები	
26	№60/26 გალმა დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
27	№60/27 ვაკიჯვარი	ვაკიჯვრის თემი	– სოფელ ფამფალეთში მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში	
28	№60/28 ფამფალეთი	ვაკიჯვრის თემი	– მინი მოედნები – გარე განათების ბოძები	
29	№60/29 თხინვალი	სოფელი თხინვალი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი სტადიონი	
30	№60/30 კონჭკათი	კონჭკათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორიის შენობა	
			– საფიშე დაფა – მინი მოედანი	
31	№60/31 ლიხაური-1	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – მინი სტადიონი – გარე განათების ბოძები	
32	№60/32 ლიხაური-2	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
33	№60/33 მაკვანეთი	მაკვანეთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში ჭალის უბანი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – კულტურის სახლი – ბავშვთა ბაღი	
34	№60/34 ძველქედური	სოფელი ძველქედური	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – ბავშვთა ბაღი	
35	№60/35 მერია	მერიის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 3 – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედანი	
36	№60/36 ნადობილევი	მერიის თემი	– ბავშვთა ბაღის შენობა – სპორტული მოედანი – მგზავრთა მოსაცდელი	

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო საბუთების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

37	№60/37 ხვარბეთი	მერიის თეში	– ყოფილი ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – კლუბი	
38	№60/38 მთისპირი	მთისპირის თეში	– კულტურის სახლი – ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა	
39	№60/39 ნაგომარი	ნაგომრის თეში	– კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – სტადიონის დობე – გარე განათების ბოძები	
40	№60/40 ქ. ნატანები-1	ნატანების თეში	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინები	
41	№60/41 ქ. ნატანები-2	ნატანების თეში	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი	
42	№60/42 ზ. ნატანები	ნატანების თეში	- საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული	
43	№60/43 სოფელ ოზურგეთი	სოფელ ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები	
44	№60/44 სილაური	სილაურის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
45	№60/45 შემოქმედი	შემოქმედის თეში	– სოფელ გომის კლუბი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები	
46	№60/46 გომი	შემოქმედის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
47	№60/47 წითელმთა	შემოქმედის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები	
48	№60/48 შრომა	შრომის თეში	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – სპორტული დარბაზი – საფიშე დაფა – საერდენი კედელი – გარე განათების ბოძები	
49	№60/49 ხრიალეთი	შრომის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები - საბავშვო ბაღი	
50	№60/50 ცხემლისხიდი	ცხემლისხიდის თეში	– ყოფილი კლუბის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი	
51	№60/51 ბაღდადი	ცხემლისხიდის თეში	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი მოედანი	
52	№60/52 ძიმითი	ძიმითის თეში	– საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – ადმინისტრაციული შენობის ეზოს დობე – საბავშვო ბაღის დობე – მინი სტადიონის დობე	
53	№60/53 ჭანიეთი	ჭანიეთის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედნის დობე	
54	№60/54 ჯუმათი	ჯუმათის თეში	– მგზავრთა მოსაცდელი 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები	
55	№60/55 ცენტრი-3	ქ. ოზურგეთი	– სასტუმრო „გურია“ – აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი	
56	№60/56 დაშე-1	ქ. ოზურგეთი	- მგზავრთა მოსაცდელი - გარე განათების ბოძები	
57	№60/57 ანასეული	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონი	
58	№60/58 ნარუჯა-2	დაბა ნარუჯა	– ყოფილი კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღი	
59	№60/59 ნასაკირალი-2	დაბა ნასაკირალი	– მგზავრთა მოსაცდელი – ბავშვთა ბაღი – მინი მოედანი	
60	№60/60 გურიანთა-2	გურიანთის თეში	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები	
61	№60/61 ქ. ნატანები-3	ნატანების თეში	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული	
62	№60/62 შრომა-2	შრომის თეში	– მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები	

სათემო კავშირის პროექტის პრეზენტაციაზე

სოფ. თხინვალი ყოველთვის გამორჩეული გამრჯე ადამიანებით, სოფლის ინტელიგენციით, რაც საბოლოო ჯამში ძლიერ სოფელში ასოცირდებოდა.

მიუხედავად ბოლო ათწლეულების კატაკლიზმებისა, თხინვალელებს არ ჩამოუყრიათ ყურები და ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ.

თხინვალელებმა არასამთავრობო სექტორშიც თქვეს თავიანთი სიტყვა. 2001 წლიდან სოფელში მოქმედებს სათემო კავშირი „იმედი,“ (თავმჯდომარე კობა ცერცვაძე), რომელმაც რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელა.

ეს სათემო კავშირი სოფლის განვითარების პროგრამის განხორციელებაშიც მონაწილეობდა და მათი საქმიანობა გამჭირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

ამჟამინდელი პროექტის მიზანი კავშირ „იმედის“ ბაზაზე შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბება იყო, რომელიც უნდა გახდეს მაკავშირებელი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

პროექტის ავტორებს უსასყიდლოდ დაეხმარნენ ოზურგეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლები მინდია სალუქვაძე, თამარ ხომერიკი და თამარ ღლონტი პროექტის პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ. მინდია სალუქვაძემ გააცნო სტუმრებს ამ პროექტის მნიშვნელობა.

ამ დღეს სოფ. თხინვალს ესტუმრნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, დეპუტატები დიმიტრი კვერღელიძე, კახა ღლონტი; მარინა სუნგულია, ქეთევან კვაჭანტირაძე, ჟურნალისტები.

პროექტის პრეზენტაციის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ადნინისტრაციული შენობის დარბაზში გადაინაცვლეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრაზე სოფლის ყველა კომლის წარმომადგენელი იყო მოწვეული, დარბაზში მასპინძლები დიდად არ სჭარბობდნენ სტუმრებს. გაიმართა დისკუსია სოფლისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხებზე.

ავთანდილ სურგულაძემ მოსახლეობის პასიურობაზე თავისი სოფლის, ჭანიეთის მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ მოსახლეობის ჩართულობა პროექტების განხორციელებაში უნდა გაიზარდოს.

მარინა სუნგულიამ სოფლის პროგრამების ხარჯთაღრიცხვების გამჭირვალობის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საზოგადოების განვითარებას სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს.

საკრებულოს დეპუტატმა დიმიტრი კვერღელიძემ აღნიშნა, რომ ადამიანებმა 9-წლიანი უსამართლობის პროტესტი არჩევნების გზით გამოხატეს. დღეს ადამიანების ჩართულობა პროცესებში არ არის. ყველაფერი მოდის ზემოდან, ამიტომ ადამიანების ჩართულობა უნდა გაიზარდოს. ადგილებზე უნდა შეიქმნას თვითმმართველობები.

თხინვალელი ნანული ხურციძე ეწინააღმდეგება ერთპიროვნულ დანიშვნებს და 2014 წლის არჩევნების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ომარ დოლიძემ თავისი გულისტკივილი ასე გამოხატა:

—რა გვემართება, კრება ვერ მოგვიწვევია. საქმე არ იძვრის...

მიუხედავად ამისა, სათემო კავშირის „იმედი“ იმედს გვაძლევს, რომ სოფლის რწმუნებულთან, სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან და მოსახლეობასთან ერთად რეალურად გახდება თვითმმართველობის შემავსებელი რგოლი და სხვა სოფლებსაც შეეძლებათ გაიზიარონ გამოცდილება და უფრო მეტად იზრუნონ შესაბამის თემებში სამოქალაქო თანამონაწილეობით დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების სრულყოფაზე.

ფონდ „ქართული გალობა“-ს შეხვედრაზე

ამ ცოტა ხნის წინ, ფონდი „ქართული გალობა,“ რომელიც ოზურგეთელმა ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე აკურთხა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოس-პატრიარქმა ილია II-მ.

საზეიმო შეხვედრა-კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ბასიანი,“„დიდგორი,“„შავნაბადა;“ ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლი დაბა ქედიდან. შეხვედრაზე რეგიონებიდან სპეციალური მიწვევით წარმოდგენილი იყვნენ გამოჩენილი მომღერლები. გურიიდან: ტრისტან და გური სიხარულიძეები; სამეგრელოდან: მეგრული სიმღერების პატრიარქი, 89 წლის პოლიკარპე ხუბულავა; სვანეთიდან—78 წლის ისლამ ფილფანი; კახეთიდან—90 წლის ანდრო სიბაშვილი.

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გურული სიმღერების ოსტატებს, ტრისტან და გური სიხარულიძეებს, ასევე სხვა რეგიონის წარმომადგენლებს საჩუქრად გადასცა საპატიო სიგელი „ქართული სიმღერის მოამაგე,“(ხელს აწერს საქართველოს პატრიარქი ილია II და ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი), ამავე სახელწოდების პრიზი და ფულადი ჯილდო.

ფონდ „იავნანას“ დირექტორი ვანო ჩხარტიშვილის მეუღლე ნანა გოთუაა. იგი შეპირდა რეგიონის წარმომადგენლებს რომ დიდ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის განვითარებისათვის თავდადებულ ყველა პიროვნებას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოვიდა ლოტბარი ტრისტან სიხარულიძე და გვთხოვა, ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ფონდის დამფუძნებელს ვანო ჩხარტიშვილს, დირექტორს ნანა გოთუას, ფონდის კომისიის თვალსაჩინო წევრს ანზორ ერქომაიშვილს.